

შპს „ჭადრაკი ტვ“

2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების
თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბრამდე
პერიოდის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჭარდაკი ტვ“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჭარდაკი ტვ“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბერამდე პერიოდისთვის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის იანვრის მდგომარეობით და ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბერამდე პერიოდისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი მიდგომის გამოყენება მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძველების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედეგის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:



ვანტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

12 აგვისტო 2020 წელი

*შპს „ჭადრაკი ტვ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

ლარი	შენიშვნა	<u>31 დეკემბერი 2019</u>
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	2,944
არამატერიალური აქტივები	5	3,851
გრძელვადიანი აქტივები		<u>6,795</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	76
მიმდინარე აქტივები		<u>76</u>
სულ აქტივები		<u><u>6,871</u></u>
საკუთარი კაპიტალი	7	
საწესდებო კაპიტალი		13,768
აკუმულირებული ზარალი		(7,323)
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>6,445</u>
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		411
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		15
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>426</u>
სულ ვალდებულებები		<u>426</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>6,871</u></u>

ლარი	2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბრამდე
კომუნიკაციის ხარჯი	(6,519)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(700)
ქონების გადასახადის ხარჯი	(15)
ბანკის საკომისიოები	(14)
სხვა ხარჯები	(75)
ზარალი ოპერაციებიდან	(7,323)
მოგების გადასახადის ხარჯი	-
პერიოდის ზარალი და სრული შემოსავალი	(7,323)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 12 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ

გენადი უჩუმბეგაშვილი
დირექტორი



მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-30 გვერდებზე.

შპს „ჭადრაკი ტვ“

2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალში			სულ საკუთარი კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	გადასახდელი ნაწილი	აკუმულირებული ზარალი	
ნაშთი 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით (დაარსების თარიღი)	-	-	-	-
ზარალი და სხვა სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	-	(7,323)	(7,323)
ოპერაციები მესაკუთრეებთან, პირდაპირ კაპიტალში ასახული შენატანები				
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 7)	15,768	-	-	15,768
გადასახდელი საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 7)	-	(1,500)	-	(1,500)
სულ ოპერაციები მესაკუთრეებთან	13,768	(1,500)	-	13,768
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,768	(1,500)	(7,323)	6,445

შპს „ჭადრაკი ტვ“
 2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019 წლის 1 აპრილიდან (დაარსების თარიღი) 2019 წლის 31 დეკემბრამდე
ლარი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ზარალი პერიოდის განმავლობაში	(7,323)
<i>კორექტირებები:</i>	
ცვეთა და ამორტიზაცია	700
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	(6,623)
<i>ცვლილებები:</i>	
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	15
სავაჭრო ვალდებულებები	411
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,197)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,377)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(850)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,227)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10,500
ფინანსური საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	10,500
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	76
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 6)	76

შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11
2. მომზადების საფუძველები	12
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12
5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14
7. საკუთარი კაპიტალი	15
8. კაპიტალის მართვა	15
9. რეალური ღირებულებები და რისკების მართვა	16
10. პირობითი ვალდებულებები	18
11. დაკავშირებული მხარეები	19
12. შემდგომი მოვლენები	19
13. შეფასების საფუძველი	19
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	20
15. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	29
16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ჯერ არ არის მიღებული	30

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს ჭადრაკი ტვ-ს (“კომპანია”) საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლების შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

(b) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს ჭადრაკი ტვ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (სარეგისტრაციო და საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 405327463; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ), როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია დაარსდა 2019 წლის 1 აპრილს.

კომპანიის იურიდიული მისამართია აფაქიძის ქ. 11, სართული 8, ბინა 138, საბურთალოს რაიონი, თბილისი საქართველო.

კომპანიის მთავარი საქმიანობა არის ტელემაუწყებლობა და ვიდეო სტრიმინგი, საქართველოს ტერიტორიაზე. 2019 წელს კომპანიამ მაუწყებლობის ავტორიზაცია მიიღო, რომელიც ძალაშია 2019 წლის 11 აპრილიდან და არის უფადო. კომპანია მაუწყებლობს სილქნეტის, მაგთისა და სხვა სატელევიზიო სერვისის მომწოდებლების მეშვეობით. კომპანიის მთავარი კონტენტი არის ჭადრაკის თამაშთან დაკავშირებული - ტურნირები, ფილმები, სხვადასხვა შოუ და სხვა. კომპანიას აქვს ხელშეკრულება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ა(ა)იპ (“GCF”), რომელიც შპს ჭადრაკის ტელევიზიას უსასყიდლოდ აძლევს თავის სატელევიზიო პროგრამებს, ვიდეო ჭადრაკის გაკვეთილებს და უფლებას აძლევს გაუშვას პირდაპირ ეთერში ტურნირები და ჩემპიონატები. კომპანია უშვებს სატელევიზიო ეთერში GCF-ს მთლიან კონტენტს უფასოდ, კომპანიას უფლება აქვს განათავსოს რეკლამა GCF-ის მიერ მოწოდებულ ყველა შინაარსზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ GCF-თან შეთანხმება წლიდან წლამდე გაგრძელდება.

2019 წლის 31 დეკემბერსა და ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის კომპანია სამი ფიზიკური პირის მფლობელობაშია: გენადი უჩუმბეგაშვილი (40%), ზაზა ლომინაძე (40%) და კახაბერ ვარადაშვილი (20%).

კომპანიის დაფინანსების მთავარი წყარო მოდის მფლობელების შენატანებისგან. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად მფლობელებზე დამოკიდებულია და კომპანიის აქტივობები მფლობელების ინტერესებთან დაკავშირებულია.

მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება მართონ კომპანიის ტრანზაქციები საკუთარი შეხედულებისამებრ და სარგებლობისთვის. ასევე მათ სხვა ბიზნეს ინტერესები აქვთ კომპანიის ფარგლებს იქით.

ტრანზაქციები დაკავშირებულ პირებთან ასახულია შენიშვნა 11-ში.

2. მომზადების საფუძვლები

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) შესაბამისად.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („GEL”), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

რეალური ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს რეალური ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. რეალური ღირებულება განსაზღვრულია შეფასების და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.

რეალური ღირებულება დაჯგუფებულია რეალური ღირებულების იერარქიაში სხვადასხვა დონეების მიხედვით იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- *დონე 1:* აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია რეალური ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ რეალური ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერებს აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ცვლილება.

რეალური ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 9 - რეალური ღირებულებები და რისკების მართვა.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	კომპიუტერული პროგრამები	ოფისის და კომპიუტერული აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2019 წლის 1 აპრილის (დაარსების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-
შესყიდვები	4,118	3,377	7,495
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,118	3,377	7,495
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია			
ნაშთი 2019 წლის 1 აპრილის (დაარსების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	267	433	700
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	267	433	700
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2019 წლის 1 აპრილი(დაარსების თარიღი).	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	3,851	2,944	6,795

(a) მფლობელების მიერ კაპიტალში შენატანი

2019 წლის 1 აპრილიდან, 2019 წლის 31 დეკემბრამდე, კომპანიის მფლობელებმა არამატერიალური აქტივის (ტელემარკეტინგის განრიგის პროგრამა) სახით შენატანი გააკეთეს, რომლის რეალური ღირებულება 3,268 ლარს შეადგენდა (შენიშვნა 7(a)).

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები ბანკში	76
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	76

კომპანიის განფენილობა საპროცენტო რისკთან ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის განმარტებულია შენიშვნაში 9.

7. საკუთარი კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში.

ჯგუფის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის მეწილეების მიერ. ცვლილებები ჯგუფის განცხადებულ საწესდებო კაპიტალში შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ჯგუფის მეწილეების გადაწყვეტილების საფუძველზე.

კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების მიხედვით, 2019 წლის 1 აპრილიდან, 2019 წლის 31 დეკემბრამდე კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა ფულადი შენატანებით 10,500 ლარის ოდენობით და არაფულადი შენატანი არამატერიალური აქტივის სახით 3,268 ლარის ოდენობით (შენიშვნა 5 (a)).

განცხადებული საწესდებო კაპიტალის მეტობა ფაქტობრივი შენატანების ღირებულებასთან აღრიცხულია როგორც გადაუხდელი კაპიტალი.

(b) დივიდენდები

კომპანიის მფლობელები არიან უფლებამოსილნი დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულიანობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა აკუმულირებული ზარალი 7,323 ლარი.

8. კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს რომ შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი, როგორც კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა შორის ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულის მენეჯმენტითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის მფლობელებისგან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან მიმართებაში მესამე მხარეთაგან დადგენილ მოთხოვნებს.

9. რეალური ღირებულებები და რისკების მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისას ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია რეალური ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადახდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანია შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

(i) რისკის მართვის სისტემა

კომპანიის დირექტორს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

მფლობელები ზედამხედველობენ თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მონიტორინგი კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკას და პროცედურებს და მიმოიხილავს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე არსებულ რისკებთან დაკავშირებით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოემუშება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებული იყო საქართველოს წამყვან ბანკში, რეიტინგის (Fitch) მიხედვით, დეფოლტის მოკლევადიანი B შეფასებით. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

მენეჯმენტი თვლის რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკის მიმართ განფენილობა.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლატარულობის სამართავად.

სავალუტო რისკი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება ვალუტის რისკს. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღირიცხება ლარში.

(v) საპროცენტო რისკი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია არ გააჩნია განფენილობა საპროცენტო რისკის მიმართ და საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ იქონიებს არსებით ეფექტს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

10. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ კომპანია არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახდო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

11. დაკავშირებული მხარეები

(a) მაკონტროლებელ მხარეებთან ურთიერთობა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სამი ფიზიკური პირის მფლობელობაშია შესაბამისად, ისინი არიან საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები, როგორც ეს განმარტებულია შენიშვნაში 1 (b).

(b) წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

2019 წლის 1 აპრილიდან, 2019 წლის 31 დეკემბრამდე, კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 15,268 ლარით. კაპიტალი გაიზარდა როგორც ფულადი შენატანით 10,500 ლარი და არაფულადი, კომპიუტერული პროგრამა, შენატანით 3,268 ლარი და 1,500 ლარი არის კაპიტალში გადასახდელი ნაწილი.

ხელმძღვანელობას წლის 2019 წლის 1 აპრილიდან, 2019 წლის 31 დეკემბრამდე ანაზღაურება არ მიუღია.

12. შემდგომი მოვლენები

a) COVID-19

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელა ინფორმაცია COVID-19-ის (კორონავირუსი) შესახებ. წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, უცნობი ვირუსის შემთხვევების მცირე რაოდენობის შესახებ განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გლობალურად გავრცელდა, და მისი ნეგატიური გავლენა სწრაფად გაიზარდა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ვირუსის გავრცელება არამაკორექტირებელი ბალანსის შედგენის შემდეგი მოვლენაა. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება რადგან კომპანია საწყის სტადიაზეა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC) და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა აუცილებელი დამცავი ზომების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და ყველა შესაძლო ნაბიჯს გადადგამს მათ შესამსუბუქებლად.

b) შენატანები საწესდებო კაპიტალში

კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების მიხედვით, 2020 წლის პირველ კვარტალში საწესდებო კაპიტალი ფულადი შენატანის სახით 1,500 ლარით გაიზარდა.

13. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

ქვემოთ მოყვანილია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ინდექსი, რომლის დეტალები ხელმისაწვდომია მომდევნო გვერდებზე:

(a)	უცხოური ვალუტა	20
(b)	დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	20
(c)	მოგების გადასახადი	21
(d)	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	22
(e)	ფინანსური ინსტრუმენტები	23
(f)	გაუფასურება	27

(a) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

(b) დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით,

რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა წარსულში დაქირავებულის მხრიდან მიწოდებული სერვისის შედეგად და ამ ვალდებულების შეფასება საიმედოდ შეიძლება.

(c) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების დაგასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან რომელიც არ არის გაშლილი ხელის პრინციპით და/ან გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და დადგენილ ნორმას გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% აგროსილ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ოპერაციებზე, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და წარმომადგენლობით ხარჯებს, დაშვებულ ფარგლებში. კომპანია ითვალისწინებს რომ ამგვარი ოპერაციების დაბეგვრა არ არის ბასს-12 მოთხოვნების შესაბამისი და საშემოსავლო გადასახადებს და საგადასახადო ანგარიშებს ასეთი შემთხვევებისთვის აღრიცხავს როგორც სხვა გადასახადებს გარდა მოგებისა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზას და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(d) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

(i) აღიარება და შეფასება

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შექმნასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და მოსწორების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება ნეტოდ მოგება ან ზარალში.

(ii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით შექმნილ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ზოგადად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივების თითოეული ნაწილისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- ოფისის და კომპიუტერული აღჭურვილობა 5 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წელს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(iii) არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ კუთვნილი კომპიუტერული პროგრამა (მფლობელების შენატანის სახით), რომლებსაც განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი შეფასება ხდება თვითღირებულებაზე დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(iv) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგება ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(v) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ამორტიზაცია ზოგადად აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი არიან მზად გამოყენებისათვის, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ხარჯის რეალური და სისტემატიური ასახვისათვის მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში:

- სხვა არამატერიალური აქტივები (კომპიუტერული პროგრამა) 10 წელი;

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წელს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(e) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) შეფასების ძირითადი მეთოდები

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

ტრანზაქციების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, დამატებული დარიცხული პროცენტი, და ფინანსური აქტივებისათვის, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („ECL“) ანარიცხით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საკომისიოს ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდის საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება შეიცავს კონტრაქტის მხარეების ყველა გადახდილ თუ მიღებულ საფასურს, რომელიც ეფექტურ საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. იმ აქტივებისთვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოქმნილი საკრედიტო გაუფასურებიდან (“POCI”) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის შესწორებული საკრედიტო რისკით, მაგალითად, ასეთ შემთხვევაში გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიდან თავდაპირველი აღიარებისას და ნაცვლად საკონტრაქტო გადახდების მიხედვით.

(ii) თავდაპირველი აღიარება

რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში ასახვით (“FVTPL”) ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას, მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ

დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც პირდაპირ აისახება სააღრიცხვო ზარალად.

(iii) ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები

კომპანია ყველა თავის ფინანსურ აქტივს აფასებს ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

(iv) ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნესმოდელი

ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით. კომპანიის ერთადერთი მიზანია აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“).

(v) ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები

კომპანიის ბიზნესმოდელია აქტივების ფლობა, რათა მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, კომპანია განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას. (“SPPI”).

(vi) ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია

ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. საწარმოს არ შეუძლია მისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში და არ განუხორციელებია არცერთი რეკლასიფიკაცია.

(vii) ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი „ECL“-სთვის

კომპანიას გააჩნია ერთი ტიპის ფინანსური აქტივი რომლებიც მიეკუთვნება „ECL“-ის მოდელს - ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად არსებობის მთელი პერიოდის ზარალის ანარიცხს იყენებს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნისთვის. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოიყენება „ECL“-ის შეფასებისათვის.

(viii) ფინანსური ინსტრუმენტები - ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს.

ინდიკატორები რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებოს შემდეგია: მოთხოვნა 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით, მიმდინარეობს ლიკვიდაცია ან გაკოტრება ან აღსრულების ღონისძიება დასრულებულია.

კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

(ix) ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

(x) ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც მეორე მხარე შეასრულებს მის საკონტრაქტო ვალდებულებას და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

(xi) ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

(xii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

(xiii) ფინანსური აქტივების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

გაზომვის მიზნებისთვის, ფასს-9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსურ ინსტრუმენტებს აკლასიფიცირებს შემდეგ კატეგორიებად: ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; ბ) სასესხო ინსტრუმენტები FVOCI-ით, გ) საკუთარი კაპიტალი FVOCI-ით და დ) ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსურ აქტივებს FVTPL აქვს ორი ქვეკატეგორია: (i) აქტივები რომლებიც სავალდებულოა იზომებოდეს FVTPL-ით და (ii) აქტივები, რომლებიც დანიშნულია, როგორც პირველადი აღიარებისთანავე, ან შემდგომში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ნაშთებს მიმდინარე ანგარიშზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულსა და ფულის ეკვივალენტების ბალანსებზე იყო უმნიშვნელო.

(xiv) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

(f) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, მათ შორის კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები, ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია:

- მოვალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა იხდის ისეთი პირობებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში კომპანიის მიერ არ იქნება განსაზღვრული;
- დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის არსებობა;
- კომპანიაში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებები;
- გადაუხდელობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსალოდნელია ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხი და მოთხოვნა მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა სესხზე და მოთხოვნაზე, რომელზედაც კონკრეტული გაუფასურება ჯერ არ არის დადგენილი, ხორციელდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება იმ ნებისმიერი სახის ზარალის დასადგენად, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. ის სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, ფასდება ჯგუფურად გაუფასურებაზე რისკის საერთო მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურების ჯგუფური შეფასების დროს, კომპანია იყენებს საექვო ვალებთან დაკავშირებით წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას, მათი ამოღების დროსა და დანაკარგებთან დაკავშირებულ ალბათობებს. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრების მიხედვით, კერძოდ, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ რეალური წაგება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ რაოდენობაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივები, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. გაუფასურების აქტივის პროცენტის აღიარება გრძელდება განმუხტვის ფასდაკლების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირებას და ეს მოვლენა ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე აისახება შებრუნებული სახით.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან (CGU).

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

15. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ქვემოთ მოცემული გადასინჯული სტანდარტები ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- ფასს 16 – ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) . ვადამდელი გამოყენება ნებადართულია იმ საწარმოთათვის, რომლებიც ფასს 15 გამოყენებას დაიწყებენ.
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ცვლილებები ბასს 28-ში - „გრძელვადიანი წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში“ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წლების ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, კორექტირებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში. თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული მოცემული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. კომპანია გეგმავს მიიღოს მოცემული სტანდარტები მათი ძალაში შესვლისთანავე.

არ არის მოსალოდნელი რომ ქვემოთ მოყვანილ კორექტირებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- *კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.*
- *ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).*
- *არსებითის განმარტება (ბასს 1-ის და ბასს 8-ის კორექტირებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.*